ტურნირზე დაწესებული იყო ფუნდალი პრიზები. პირველი სამეულის გარდა დაჯილდოვდნენ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გასულნი — თენგიზ გვარჯალაძე და კარლო კახელიძე, აგრეთვე სენიორების შორის საუკეთესო ნოდარ გიგაშვილი და ვალენტინა შორის საუკეთესო მაღალი შედეგისთვის (5,5 ქულა) ნინო იმნაძე.

ტურნირის გამარჯვებულმა, თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ჭადრაკის პედაგოგმა პაატა ვაშაიძემ განაცხადა, რომ საჭადრაკო ტურნირში პირველად ისპარეზობა 5 წლის შემდეგ და კმაყოფილია შედეგით, ის მომავალშიც აპირებს მონაწილეობას მიიღოს ამგვარ ტურნირებში.

ᲠᲘ — ᲛᲐᲒᲘᲐᲜᲘ
50 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ...

თბილისი. ორკონკიძის რაიონის ტექნიკუმების მოჭადრაკეთა პირველობაში I-II ადგილები გაიანწილეს ტექნიკუმის მასწავლებლების მაზმანიშვილმა და მეოთხეკურსელმა მამუკამ. მესამე იყო ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტი ბაბიტელინი.

საჩხერე. 8-წლიანი სკოლების მოჭადრაკეთა პირველობაში ბიჭებიდან I-II ადგილები გაიყვეს გ. თურქაძემ და ი. ქმერტელიძემ, გოგონებიდან — მ. მაჭარაშვილმა და ლ. სუხიაშვილმა.

მახარაძე. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის სტუდრად ეწევინენ დამშობილური ვენეზისული სპორტსმენები. ადგილობრივ ჭადრაკის მოყვარულებთან თამაშის ერთდროული სეანსი გამართა ურანაინის ჩემპიონმა სოფლის მოჭადრაკეთა შორის, ვენეზისის კოლმეურნეობის მოანგარიშემ ა. კრიეცოვმა.

ქუთაისი. ჭალების მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში ბიჭების შორის 1954 წელს ჩემპიონის წოდება მოიპოვა მე-9 საშუალო სკოლის გუნდმა. გოგონებში რეინიგზის 21-ე სკოლის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. კარგად ისპარეზეს ა. რაზმაძემ, გ. ლორთქიფანიძემ, ლ. ფხაკაძემ, შ. ზვიადაძემ და სხვ.

თბილისი. დედაქალაქის 1954 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში მოიგო ბუხუტი გურგენიძემ, რომელმაც მოიპოვა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება.

თბილისი. მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში ასამდე ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა თბილისის მოსწავლეთა პირველობაში. გოგონებიდან უძლიერესის სახელი მოიპოვა ქალთა მე-7 სკოლის მეთოცესელმა მ. ლილაშვილმა, ბიჭებიდან — 21-ე სკოლის მეათეკლასელმა ი. სმირნოვმა.

„დინამო“ ჩამოაქვეითებს!?

„სიონი“ ერთპიროვნულად გაღელდება, „დინამოს“ კონკურენტებმა გაუსწრეს, „მერცხალი“, ალბათ, გაგარდება — ასეთია ეროვნული პირველობის მეორე ეტაპის მეოთხე ტურის მატჩების შემდეგ გამოკვეთილი დასკვნა. ტრადიციულად შინ შეუპოვრად მოთამაშე გორის „დილა“, გაიკმატვარა ბოლნისის „სიონსაც“ და დამსახურებულად ლიდერობს ჩემპიონატს. ფეტი-რინარია გუნდი ტრადიციულად უხერხული მეტოქეა „დინამოსთვის“ და ეს საფეხბურთო წესი, არც ამჯერად დარღვეულა. დედაქალაქური დერბი უშედეგოდ დამთავრდა და მწირგოლიანი გამოდგა. ვიტალეტების ერთი გოლი სამი ქულით შეფასდა, რასაც დამსაჯურებულად ხარობდნენ ფეხბურთელები და კლუბის თანამდებობის პირები. „დინამო“ კი სატურნირო ცხრილში ნელ-ნელა ქვეთდება. პირველიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე, როდემდე გაგრძელდება ჩემპიონის დაძმალება? „თბილისმა“ ჩინებულ სტილში მოუგო დიდი ანგარიშით, „ლოკომოტივს“. ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაძლიერდა. ოთხი გუნდი ლიდერობას ეშურება. თბილელი რკინიგზელები და გორული ქიდე უფრო დასცილდნენ დაწინაურებულ ოთხეულს. მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვეს ქვედა ექსპედიციის გუნდებმა „სპარტაკმა“ და „მცხეთამ“. მცხეთელთა გამარჯვებამ საქმე გაუთხელა „კოლხეთს“. ფოთელებმა დაძაბული მატჩი წააგეს ქუთაისში. გამოიკვეთა გუნდი, რომელიც უმალღეს ლიგას, ალბათ, დაიკავებს. ეს ოზურგეთის „მერცხალია“. ნიშანდობლივია, რომ ოთხი ტურის შემდეგ ლიგის თორმეტი გუნდიდან, მეორე ეტაპზე, თამაში ვერ მოუგია ხუთს. მათ შორისაა თბილისის „დინამო“, რომელიც ორი ტურის წინ ჩემპიონატის ლიდერობდა. **მომდევნო ტური პარასკევს ბატარდება და თორმეტივე კლუბი პირველი წრის შედეგებს შეაჯამებს.** ჩემპიონობის მსურველთა რაღაც ოთხეული შემცირდა, მაგრამ პრიზი ხომ ერთიდერთი და სანუკვარია. მთავარი კითხვა ჯერ უპასუხოდაა, საბოლოო პასუხამდე კი ექვსი ტურია. ჩემპიონატი სულ უფრო დაძაბული და საინტერესო ხასიათს იძენს.

უმაღლესი ლიგა, IV ტური
I-VI ადგილებისათვის

დილა — სიონი 0-4
თბილისი — ლოკომოტივი 5-1
ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ) 1-0

VII – XII ადგილებისათვის

მერცხალი — სპარტაკი 0-2
ტორპედო — კოლხეთი 1913 3-2
დინამო (ბთ) — მცხეთა 0-1

პირველი ტურის ერთი გამოტოვებული მატჩი დღეს, 13 აპრილს გაიმართება, ბათუმის „დინამო“ თბილისის „სპარტაკს“ უმასპინძლებს. რის შემდეგაც გაითამაშების ცხრილი სრულფასოვან სახეს მიიღებს.

I-VI ადგილებისთვის

სიონი	4	3	1	0	8-2	30
ვიტჯორჯია	4	2	1	1	4-1	28
დინამო (თბ)	4	0	2	2	4-6	27
თბილისი	4	2	2	0	8-3	26
ლოკომოტივი	4	0	2	2	1-6	19
დილა	4	0	2	2	0-7	19

VII-XII ადგილებისთვის

ტორპედო	4	3	1	0	7-3	27
დინამო (ბთ)	3	1	0	2	2-4	19
მცხეთა	4	2	2	0	4-2	18
კოლხეთი1913	4	0	3	1	3-4	15
სპარტაკი	3	1	1	1	2-1	12
მერცხალი	4	0	1	3	1-5	6

ჯირველი ლიგა
XX ტურის შემდეგ

ჭიათურელი	20	13	1	6	37-19	40
სამგურალი	20	11	5	4	25-12	38
ოლიმპი	20	10	5	5	28-19	35
დინამო2(თბ)	20	10	4	6	43-28	34
მილანი	20	10	4	6	23-14	34
რუსთავი	20	10	3	7	27-22	33
ცხინვალი	20	9	5	6	30-17	32
ჩიხურა	20	9	3	8	24-21	30
ამერი	20	8	6	6	23-18	30
ვიტჯორ(მც)	20	7	8	5	21-15	29
თსუ	20	7	6	7	32-21	27
იერუსა	20	7	5	8	16-27	26
გერია	20	7	4	9	24-28	25
ლოკომ (ს)	20	6	1	13	13-37	19
ლუკა	20	4	1	15	15-38	13
მეტალურგი	20	1	1	18	9-57	4

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
IV ტური
უმაღლესი ლიგა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
ჰვედრალური სასმელი

ფეხბურთი ერთმა გუნდმა იმსჯაშა

„თბილისი“ – „ლოკომოტივი“ 5-1

თასის გათამაშებიდან გამოვარდნის შემდეგ „თბილისის“ მთელი საზრუნავი საქართველოს ჩემპიონატი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიაღწიეს და ლილაც აკლდათ, ერთი შეხედვით არ უნდა გასჭირვებოდათ „ლოკომოტივის“ დამარცხება, რაც საკმაოდ იოლად მოახერხეს კიდეც. თუმცა, მატჩის დასაწყისი სრულიად საპირისპირო სცენარით წარიმართა.

პირველივე წუთებში გახსნილი თამაში დომინირებდა, ორივე გუნდი უტევდა. მე-9 წუთზე სანიკიძემ დაუთამაშა კარგი პასი მიაწოდა, რკინიგზელმა დარტყმა დაადგინა, მაცდელმა კი ბურთი მოედინის მიღმა გადაადგო. კეთილსინდისიერად ჩაშოშოებულმა მიჭაქმა კარგად შეიჭრაზია ადგილი და ბურთს მასპინძლთა კარში მიუჩინა ადგილი. „ლოკო“ დაიწინაურა აჭეტური დასწრების შემდეგ თამაში ოდნავ მიწყნარდა და მოედნის ცენტრში გადგნელდა. თუმცა „თბილისი“ ნელ-ნელა ისევ დაეუფლა უპირატესობას და მალე სტუმართა ნახევარზე „დასახლდა“. მე-20 წუთზე ფიფია „ლოკოს“ საჯარიმოში წაეჭა. მასპინძლები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ, მაგრამ, ამაოდ. ცოტა ხანში იმავე ფიფიას ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი, თუმცა დარტყმა მიზანს ასცდა. ტაიმის წუთამდე მდგომარეობა დაიძაბა და ფეხბურთელები უშუალო თამაშსაც არ ერიდებოდნენ. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მაგრამ, რატომღაც, რაკი შორიდან კარში დარტყმებს არ ახორციელებდნენ, მცველები ბეგიროებდნენ შეტევებს, 35-ე წუთზე მასპინძლებმა რკინიგზელთა იერიში ჩაკრეს, ბურთი ოდიაძემ მიიღო და საჯარიმოს გარედან, მეკარისგან მარცხნა დაბალ კუთხეში დარტყა, მაგალათე ბურთს ვერ შეჭედა და ანგარიში გათანაბრდა 1-1. მასპინძლები გოლის შემდეგ უფრო გააქტიურდნენ, მალე მათმა მცდელობამ შედეგიც გამოიღო. 41-ე წუთზე ფიფიამ ბურთი მიიღო, საჯარიმოს ცენ გაიჭრა, გზად რამდენიმე მცველ გასცდა და თავისიანები დაიწინაურა 2-1. მაგალათე ბურთის მოგერიების შანსი პრაქტიკულად არ ჰქონია. შესვენების შემდეგ მასპინძლები აშკარად მეტოქეს კარზე დაეგმეტნენ ჩანდნენ. გოლსაც არ დაუკანებია. 49-ე წუთზე ოდიაძემ საჯარიმო დარტყმა შეალრუნა, ბურთი მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ ხოჯავამ მიიღო, ერთთორი მეტრით წინ წაიწია და კარში უძლიერესად დარტყა 3-1. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რკინიგზელები ავლა-ბრიდანი ქულის წამოღებასაც ვეღარ შეძლებდნენ. ფეხბურთის, ფაქტობრივად, ერთი გუნდი თამაშობდა, „ლოკოს“ იმ დღეს ნამდვილად არაფერი გამოსდიოდა. მესამე გოლის შემდეგ მასპინძლებმა ტემპი დააგდეს. ბურთით ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. 66-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ადგილარმა ცენტრში მიიღო პასი და მეტრეს კარისკენ დაიძრა, გზად ოთხი რკინიგზელი ჩამოიშორა, მეხუთემ კი საჯარიმოში წააჭედა და მსაჯმა სამრთლიანად დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომლის შესრულება ოდიაძემ ითავა. მან დუბლი გაიხერხა, ანგარიში კი 4-1 გახდა. მატჩი ისე მთავრდებოდა, „ლოკოს“ გრიშაკაშელის კარში წესიერად არც დაურტყმია. მერე, როგორც იქნა, შეხვდრის მიწურულს, რკინიგზელებმა შეძლეს სახოგადო შეტევა — კეთხურის ჩამოწოდების შემდეგ მიჭაქმა ოთხი მეტრიდან თავით დაარტყა, ბურთი გრიშაკაშელის ნაბადი გაბდა, 82-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან „თბილისმა“ სწრაფი შეტევა განახორციელა, კარის გასწვრივ ჩაწოდეს, ფიფიამ მოეწია და — ანგარიში გახდა 5-1.

გიორგი დევდარიანი — „თბილისს“ მთავარი მწვრთნელი: „ტუნელს დღეს ყველაფერი გამოუვიდა. იღბალიც ჩვენს მხარეს იყო. ბიჭებს დიდი მადღობა კარგი თამაშისთვის. ყველაფერი შრომის შედეგია, რომ იტყოან, პოეტნობს ის, ვინც ვებს, დღეს ჩვენი დღე იყო. ერთი თხოვნა მეგზრა ორგანიზატორებთან: კარგი იქნება, თუ ცოტა გვიან დავიწყებთ თამაშს, სიცხეში ფეხბურთელებს უჭირთ თამაში და ტემპიც ეცემა. 6 საათი გულშემატკივრებისთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც.“

● **რამდენიმე შეხვედრაა, რაც „თბილისი“ პირველ ბურთს საკუთარ კარში იღებს...**

— მობილიზება ცუდიაო. ეს ჩემი აღმოსაფხვრელია, რასაც აუცილებლად მოვიდვდეო.

ზაურ სვანაძე — „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი: „ჯო, ალბათ ცდლაზე ცუდი თამაში იყო, რაც კი გავმართეთ. განსაკუთრებით დაცვაში მოვუკრძალებიათ. პირველი გოლი, შეიძლება იოქვა, მეტოქეს ვაჩუქეთ. ამის შემდეგ გუნდი მოიშალა. „თბილისი“ კარგი გუნდია, თან ერთ-ერთის საუკეთესო მოედანი გააჩნია საქართველოში. მოთამაშეები დასამატებელი ვერაფერს იტყვიან. ბურთით ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. 66-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ადგილარმა ცენტრში მიიღო პასი და მეტრეს კარისკენ დაიძრა, გზად ოთხი

ზურაბ ქლდარ მალხაზოვილისა

ფოტო ალბომიდან – „ლოკომოტივი“

„ლეგიას“ მდიდარი მფლობელი ჰყავს

ცნობილი პოლონეტი საფეხბურთო კლუბს „ლეგიას“ ახალი და ამაგე დროს ძალზე მდიდარი პატრონი გამოუჩნდა. არცთუ მორეულ წარსულში ჩემპიონთა ლიგის მონაწილეც, ამჟამად კი ღიდი დაკლაკნების მჭონე კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი მსხვილმა მედიკომპანიამ შეისყიდა.

რამდენიმე დღის წინ კომპანია „ი-ტი-აი პოლონიამ“ იფიციალურად გაათრობა ხელშეკრულება პოლონეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან. „ი-ტი-აი ჰ ოლდინგს“ ეკუთვნის „ლეგიის“ აქციების 80 პროცენტი და აქვს გუნდის განვითარების და გაძლიერების სოლიდური პროექტები. კომპანიამ უკვე გაიხარჯა კლუბის დაფარიანება, რომელიც 1,25 მილიონ დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, „ლეგიას“ ეკონელობაზე იზრუნებს ადრეთვე ვარშავის ადმინისტრაციაც, რომელმაც საუკუთარ თავზე აიღო კლუბის ზოგიერთი ხარჯის დაფარვა და სტადიონის მოდერნიზება. კომპანიის და პოლონეთის ფედერალურის ადმინისტრაციის უმთავრესი მიზანი არის, რაკი თქმა უნდა, „ლეგიას“ დაბრუნება ევროპის ჩემპიონთა ლიგაში.

მორიენტაცია: „ჩელსი“ ევროპის საუკეთესო კლუბია

ფრანგული საფეხბურთო კლუბ „მონაკოსა“ და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა ევროპელ-ლატინოამერიკელთა საუბარში განაცხადა, რომ მისი გუნდისათვის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსისთან“ ბრძოლა უმძიმესი იქნება.

— „ჩელსი“ ევროპაში საუკეთესო გუნდია. მის შემდგენლობაში ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებსაც სხვადასხვაგვარი სტილი აქვთ. მომავალ მატჩებში შეეცდები ჩემს ძველ მეგობრებს — ჯონებს და მაკელელს. დარწმუნებულიც ვარ, რომ „მონაკო“ — „ჩელსის“ შეხვედრები დიდებული სანახაობა იქნება — განაცხადა მორიენტესმა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალური შეხვედრა 20-აპრილს სტადიონ „ლეი მორიუზე“ შედგება.

ეს გაზეთი ეკუთვნის ფეხბურთის მოყვარულთა ასოციაციას

სწფ-ს ადმასკომის სხდომა

სიახლეები ფედერაციაში

ცვლილებებს ალტერნატივა არა აქვს. ფედერაციაში სიახლეების სიო დაბერა. შეიცვლება სტრუქტურა, ლოგო, ახალ, ფართო უფლებამოსილების თანამდებობების დაინიშნა ახალი ზაფხულიდან ჯაშუში გუნდებსაც ახალი მწვრთნელები ჰყავთ, თითოეული საორგანიზაციო საკითხი კი სფეხ-ს აღმასრულებელ კომიტეტში განხილვას და დამტკიცებას საჭიროებს. სწორედ ზემოთქმულის შესახებ მსჯელობისათვის და კიდევ ბევრ შეიკრიბება **სფფ-ს აღმასკომი ხუთშაბათს, 15 აპრილს, 14 საათზე.** სფფ-ს საგარაუდოდ ასეთია: **პირველი საკითხი** სფფ-ს ყოველწლიურ, ამჯამად VII ნაკრები გუნდების მოყარ მწვრთნელთა დამტკიცებას; **მესამე** — საორგანიზაციო საკითხებს; **მეოთხე** — სფფ-ს ახალი აღმასკომის მოწვევას ეხება. **მეორე** — ერთ-ერთ ოთხმეტე მწვრთნელთა დამტკიცებას; **მეხუთე** — ფეხბურთელთა სატრანსფერო მოძრაობას. სხდომის მოწვევამდე ღიის წესრიგი საკითხებზე საფარაოდ აღმასკომის სხდომის ღიის წესრიგი საკითხებზე საფარაოდ აღმასკომის სხდომის ღიის წესრიგი ეხება.

ბავშვთა ფეხბურთი

დიდი კაპიტნის უკვდავსაყოფად...

ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირებში ამიერიდან თბილისის „დინამოს“ ჯოფილი სახელოვანი კაპიტნის შოთა იამანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობაც მოისხენება. თბილელში, წრიული სისტემით გამართულ ამ შეჯიბრებაში 1988 და 1989 წლებში დაბადებული ჯაბეკი ფეხბურთელები გამოდიოდნენ. 16 ქულით პირველობა მოიპოვა კლუბმა „ნორჩმა დინამომ“ (მწვრთნელი რამაზ ტრუშაძე), 14 ქულით მეორე ადგილზე გავიდა „ნორჩი დინამო-89“ (მწვრთნელი გურამ ყანდალია), მესამე იყო „ნორჩი დინამო-88“ (მწვრთნელი დათო გენდრაძე). ტურნირში მონაწილეობდა მხოლოდ „დინამოს“ გუნდები და ერთიც მოწვეული „ურეონი“.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული რამაზ ურუშაძის ნორჩი დინამოელები. მარცხნიდან I რიგში: ბ. ბექაური, გ. ცინცაძე, დ. კაციტაძე, ლ. ასათიანი, ი. ანანიკოფი, გ. ყიფლაშვილი, დ. ჩეგოლია, გ. მუნჯიშვილი, ლ. ზაუტაშვილი, ზ. კალანდარიშვილი; II რიგში: დ. გოგაშვილი, ლ. გოგატიშვილი, ჯ. ხატიაშვილი, გ. მიდოდაშვილი, ზ. ბაღალაძე, რ. ურუშაძე (მწვრთნელი), კ. არჩვაძე, ს. კოკაია, ნ. ბერუაშვილი, თ. ჩაფუნელი, კ. ჩაფუნელი. *(ფოტო რომპრტ ბაგოთანისა).*

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ლუის ფელიპე სკოლარი: „მინიმალური შედეგი ნახევარფინალში გასვლა იქნება“

თუკი პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ლუის ფელიპე სკოლარი შეძლებს ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლების მოპოვებას, ის იქნება მეორე მწვრთნელი ფეხბურთის ისტორიაში პელეს შემდეგ, რომელმაც მოიგო როგორც მსოფლიოს, ისე ევროპის ჩემპიონატი. გარდა ამისა, ლუის ფელიპე პირველი მწვრთნელი იქნება, რომელმაც ასეთ წარმატებას ორი ქვეყნის ნაკრებთან მუშაობისას მიაღწია. პორტუგალიას ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა და ცხადია სკოლარის პასუხისმგებლობა ერთი-ორად ზრდიდა... გთავაზობთ ლუის ფელიპე სკოლარის მიერ რუსული სიტყვა – „სპორტსმენის“ მიცემულ ინტერვიუს, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ექსკლუზიურად არ უნდა იყოს.



● *პორტუგალიის ნაკრებისაგან ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას ელიან, თუმცა ამხანაგურ მატჩებში თქვენი გუნდის შედეგები არცთუ შთამბეჭდავია. თქვენ ხშირად გაკრიტიკებენ. რას იტყვით ამის თაობაზე?*

— იყო კრიტიკის ობიექტი — ეს ნებისმიერი მწვრთნელის სამუშაოს ნაწილია, მით უმეტეს, თუ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ამხანაგურ მატჩში დამარცხდით იტალიის ნაკრებთან, მანიც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეგირდები წარმატებით ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატზე. პორტუგალიის ნაკრები ამ უმნიშვნელოვანეს ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. ვფიქრობ, მინიმალური შედეგი ჩვენი გუნდისა, ნახევარფინალში გასვლა იქნება. დღესისთვის ის გარანტიც მაქვს, რომ ოქროს მედლებს მოვიპოვებთ, ძნელია. მე მხოლოდ ოპტიმისტი კი არა, რეალისტიც ვარ. წარმატების მისაღწევად უკომპრომისო ბრძოლა საჭირო.

● *პირველ ტესტზე ჯუფიდან უნდა გახვიდეთ. როგორ შეაფასებთ თქვენი ჯგუფის სხვა მეტოქეებს?*

— ესპანეთის, საბერძნეთისა და რუსეთის ნაკრებებს თანაბარი ძალის მქონე მეტოქეებად მიიჩნევ. პორტუგალიურ პრესაში ხშირად გაისმის, რომ პირველ რიგში ესპანეთს უნდა ვეფრთხილდეთ, ხოლო დანარჩენებთან პრობლემა არ გვექნება. არ ვფიქრობთ ასეთ აზრს. საბერძნეთისა და რუსეთის ნაკრებებიც ნამდვილად არ არიან ადვილად ხელმისაკარი გუნდები.

● *პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელია. ეს ერთი მხრივ, უპირატესობას განიჭებთ, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა პრობლემებიც შეგექმნათ...*

— ალბათ გეთანხმებით იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც ჩვენ გვაკისრია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ტტალიელებთან გამართულმა ამხანაგურმა მატჩმა დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშ ფეხბურთელები არ უნდა მოექცნენ, რადგან ეს უარყოფითად მოქმედებს თამაშის ხარისხზე. ვფიქრობთ, ამ პრობლემას მოვაგვარებთ.

● *თქვენი კარიერის განმავლობაში ბევრს მაღალ- და დაბალკლასიან ერთად მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მოგება თუ ასეთ წარმატებებს მხოლოდ ერთეული ადამიანები აღწევენ. რით წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი?*

— მე ნორმალური ადამიანი ვარ, რომელიც ცდილობს საკუთარი საქმეში ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს. საკუთარი თავი რჩეულად არასდროს წარმომიდგენია. არ შეიძლება წარსული დამსახურებით ცხოვრება, – მუდამ ახალი უნდა ვიძიო. და მაინც, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი ჩემს მოგონებებში ყველაზე ნათელ წერტილად რჩება.

● *ბევრ ვარსკვლავთან გიმუშავიათ. რომელ მათგანს ანიჭებთ უპირატესობას?*

— რომელიმეს გამოყოფა მიჭირს. ისე, ჩვენმა კი არ უნდა ითქმოდეს ვარსკვლავებისთვის, არამედ ვარსკვლავებმა უნდა იზრუნონ გუნდისათვის. არიან ფეხბურთელები, რომლებიც ვარსკვლავებად არ ითვლებიან. თუმცა, მეტად საჭირონი არიან გუნდისათვის და მწვრთნელებიც დიდად იფასებენ მათ. ასეთ საჭირო მოთამაშედ პორტუგალიის ნაკრებში მიეჩინება ნახევარმეკეტი „პორტუგალ“ კოშტეინის. ის ყოველთვის ბევრ სასიკეთოს აქვთებს საკუთარი გუნდისათვის. მუსაღლია, ისე არ ბრწყინავდეს მოედანზე, როგორც ფდეუ. ანდა, ფიგუ მაგრამ მისი ფუნქცია სხვა რამ არის, მის გარეშე პორტუგალიის ნაკრებს მნიშვნელოვანი რაღაც მოაკლდება. ჩემი აზრით, კოშტეინის ხილვას საკუთარ გუნდში ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა.

● *რომელი უფრო იოლია – კლუბის თუ ნაკრების გაწვრთნა?*

— კლუბის, რადგან გუნდის ყველა წევრთან ყოველდღიურად ხედავ და იცი, ვინ როგორ სპორტულ ფორმაშია. სხვა სიტუაციაა ნაკრებთან მუშაობის დროს. უნდა დამინახოს ოპტიმალური ვარიანტი, რომ სხვადასხვა კლუბებიდან გამომსხვილი ორ-სამ სათამაშო ვარიანტს ვამუშაობ.

● *ლუდოვიკო ეკანელის მატჩამდე, ვარჯიშის დროს, ერთ-ერთი შეკითხვა მოედნიდან გაგაძევეთ. რამ გამოიწვია ეს?*

— ვატარებდით ჩვეულებრივ ორმხრივ თამაშს. გადავწყვიტე გამეკეთებინა მოედნიდან იმ შემთხვევისათვის, როცა მეტოქესთან მიმართებაში კაცსაკლელი ვითომშებედით. ამიტომაც „ეახჭვინე“ წოდეი ბარათი ერთ-ერთ მეგრძედ. ასეთი მეთოდი მოთამაშეთა ბრძოლისუნარიანობას ზრდის.

● *რამდენად ილი იყო თქვენთვის ბრაზილიიდან ევროპაში გადაბარგება?..*

— რა თქმა უნდა, ევროპული ფეხბურთის განსხვავება სამხრეთამერიკულისაგან, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის ნაკრებს ზჩირად ადარებენ ბრაზილიის გუნდს. გარკვეული დრო დამჭირდა ალმაბაზეციისთვის, — რა თქმა უნდა, საქმის საფუძვლიანი ასპექტებს გულისხმობთ. საჭირო იყო სიტუაციის ბოლომდე შეგრძნობა, თავიდან ბევრ პორტუგალიელს არ ესმოდა ჩემი, მაგრამ მოგვიანებით, საერთო ენა გამოვნახეთ. ფსიქოლოგიურ მოვლენასაც მნიშვნელობა ჰქონდა. არ დაგიმალავთ, – დამჭირდა ფსიქოლოგიური დახმარება სრული ალმაბაზეციისათვის.

● *ეურანალისტებთან ხშირად პრობლემები გაქვთ...*

— ეს იმის გამოა, რომ ლეაბაროყის ერას, ისინი კი წერენ სხვაგვარად.

● *პორტუგალიის ნაკრებთან კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე გაქვთ. როგორია თქვენი მომავალი გეგმები?*

— ყველაფერი დამოუკიდებელია იმაზე, თუ რა შედეგს მივაღწევთ ევროპის ჩემპიონატზე, ყველ შემთხვევაში, ნებისმიერ გუნდთან შემიძლია კონტრაქტზე საუბარი. სიმართლე გითხრათ, მსურს კვლავ დავრჩე სამუშაოდ დასავლეთ ევროპაში.

● *რაც ევროპაში ხართ, აქაურ ვარსკვლავებს კარგად გაეცნობოდით. რომელს გამოყოფდით?*

— ვთქვი, რომ პაოლო მალდინი საუკეთესო მცველია ევროპაში. თუკი ჩემი კოლეგა ჯოვანი ტრაპატონი მოახერხებს მის დაბრუნებას იტალიის ნაკრებში, დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინებს.

ალნი შეინს ღირსია აგრეთვე მიხაელ ბალაკი „ბაიერნიდან“. რაული მადრიდის „რეალიდან“ და სხვები.

● *ბევრი თქვის, რომ ევროპის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტები არიან ფრანგები და საბერძნეთის ნაკრებები. ვის დაუმატებდით?*

— მომწონს სვენ-გორან ერიქსონის შეშაობის სტილი ინგლისის ნაკრებში. მართალია, მას ზჩირად აკრიტიკებენ, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერიქსონმა უძნელეს სამუშაოს მოკიდა ხელი — ინგლისის ნაკრების სათამაშო მოდელს ცვლის. ინგლისის დღევანდელი ნაკრები საკმაოდ ღიად ძალას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ მას წარმატების მიღწევა ძალუძს ევროპის ჩემპიონატზე.

● *კიდევ რომელი ქვეყნების ნაკრებს მიიწვევთ ფავორიტებად?*

გერმანიის ნაკრებს ძალუძს ძლიერად თამაში მისთვის სპეციალური დროს. ყოველთვის გამოცანად რჩება ჰოლანდიის ნაკრები... არ არის გამორიცხული, რომ სხვა გუნდებშიც სიურპრიზი შემოგეთავაზონ.

„ლაზიოს“ ევროპა – სამხრეთ ამერიკის თვალით

შედარება ფრანც ბეკენბაუერის თვალით

ფრანც ბეკენბაუერი ევროპული ფეხბურთის იხვთიეულ სიმბოლოა, როგორც პელე, ანდა, მარადონა სამხრეთამერიკელებისათვის. ბეკენბაუერმა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში მთელი ეპოქა ჩაწერა. ამას წინათ, „სპორტმენ“ საუბარში მან სამხრეთამერიკელთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტები გაიხსენა, რომელსაც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.

დრაზე

ფრანც ბეკენბაუერი – დაიბადა *1945* წლის *11* სექტემბერს მიუნხენში. მცველი, ნახევარმცველი. იცავდა მუენხენის „ბაიერნის“ (*1958-1977*), „ნიუ-იორკის“ (*ააშ, 1977,1980, 1983*), „ჰამბურგის“ (*1980-82*) ფერებებს. ბუნდესლიგაში *424* მატჩი ჩაატარა და *44* გოლი გაიტანა, ევროტურნირებში – *78* მატჩი, *6* გოლი. გერმანიის ჩემპიონი *1969, 1972, 1973, 1974, 1982* წლებში, გერმანიის თასის ოთხჯ ხის მფლობელი (*1966, 1967, 1969, 1971*), აშშ-ის ჩემპიონი *1977, 1978, 1980* წლებში. *1974-1976* წლებში (ზედიზედ სამჯერ) ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს, ხოლო *1967* წლის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი გახდა. *1976* წელს მოიპოვა საოლტინენტოშორისო თასი.

გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში *103* მატჩი თამაშობა და *14* გოლი გაიტანა. *50* მატჩში უკაპიტნა გუნდს, *1974* წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, *1966* წელს ამავე რანგის შეჯიბრების ფინალში გავიდა, *1970* წელს კი მესამე ადგილი დაიკავა.

1972 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ოთხი წლის შემდეგ ფინალში გავიდა. *1972* და *1976* წლებში „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა. *66* მატჩში უსიდმძევსებდა მთავარ მწვრთნელის რანგში გერმანიის ნაკრებს (*34* მოგება, *19* ფრე, *13* მარცხი).

მისი ხელმძღვანელობით გერმანიის ნაკრები *1990* წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, *1986* წელს კი ფინალში არგენტინის ნაკრებთან დამარცხდა, ევროპის *1988* წლის პირველობაზე ნახევარფინალშიც მთავრდა. ამჟამად, ბეკენბაუერის თავკაცობით, მიუნხენის „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონია (*1994*) და უკვე თასის მფლობელიც (*1996*) გახდა. ფრანც ბეკენბაუერი ამჟამად მსოფლიოს *2006* წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა.

1969 წელი. მიეწერების სტადიონთან თამაშის დამთავრებისთანავე მრავალრიცხოვანი ავტომეხი გაგლოდა. – ისწავებს ფრანც ბეკენბაუერი, – ჩვენ გავემზადეთ ავროპოლიტში. ამას მოყვა გადაფრენა ფრანკფურტამდე, შემდეგ დაყარაში დაჯდომა, იქიდან კი რიო-დე-ჟანეიროში ამოვყვეთ თავი. მომდევნო გამეორებაში სან-პაულოსა და ბუენოს-აირესი იყო. მგზავრობაში სულ *26* (!) საათი დავყვით. მახსოვს, რომ ავროპორტში დედაქალაქის ავროპორტზე ვფდებოდით, ზოგიერთ ჩვენს მოთამაშეს თავი ქალაქის პაეტში ჰგონდა ჩარგული...

და ეს ყველაფერი იყო გაკეთებული იმისათვის, რომ ამხანაგური მატჩი ჩაგეტარებინა არგენტინელ „რასინგთან“, რომელიც დაარსებიდან საუნელეო თარიღს აღნიშნავდა. *60* ათასი მაყურებლის თვალწინ *2-3* წაგებეთ, ჩვენთვის უჩვეული პირობებში... ევროპაში საშობაო დღეები იყო, ამ დროს, ბუენოს აირესში – შუა ზაფხული. ასეთი მოგზაურობა ჩემთვის პირველი იყო.

სამი წლის შემდეგ, – *1971* წლის იანვარში კვლავ ვეწვიეთ სამხრეთ ამერიკას და ხატბრეთ შეხვედრები ბრაზილიაში, არგენტინაში, პერუში, პარაგვაიში, ჩილეში.



1976 წელს „ბაიერნის“ შემადგენლობაში ოასი *42*-ჯერ გათამაშდა. ტტტურებს ევროპა და სამხრეთ ამერიკა თითქმის თანაბრად იყოფენ. ევროპელი გუნდებიდან პირველად წარმატების მაგრონდის „რეალმა“ მიაღწია *1960* წელს. ბოლოს ეს ჯილდო „ბილანამ“ ბრაზილიაში „ბოკა ხუნიორსმა“ მიიღო.

თუკი მსოფლიო ჩემპიონატის სტატისტიკურად გადავხედავთ, სამხრეთ ამერიკის სამმა ქვეყანამ *9* ტტტული გაიხარჯა (*5*-ჯერ ჩემპიონი გახდა ბრაზილიის ნაკრები, ორ-ორჯერ – არგენტინის და ურუგვაის გუნდები) ევროპელებმა *8*-ჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს მედლები და ეს ოთხ ქვეყანაზე მოდის (სამჯერ – იტალია და გერმანია, თითოჯერ – ინგლისი და საფრანგეთი).

1988 წელს დაწესდა პრიზი „მსოფლიოს წელს საუკეთესო ფეხბურთელისათვის“. მას ევროპელები *9*-ჯერ დაეუფლნენ, ხოლო სამხრეთამერიკელები – *7* ჯერ. სანტტრესთა, რომ ყველა ლაურატი (სამხრეთამერიკელი) ევროპაში თამაშობდა.

დღეს მსოფლიოში დომინირებს ევროპული ფეხბურთი, რომელსაც კონკურენციას მხოლოდ ბრაზილია და არგენტინა უწევს. მომავალშიც ასე იქნება, ვინაიდან ამ ორი სამხრთამერიკული ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელები ყოველთვის ევროპელ კლუბებში აგრძელებენ კარიერას. ისინი ულტიმატუმ ევროპელ გუნდებთან ჯიდილში უზამაზარ გამოცდილებას იღებენ.

ევროპაში ბოლო პერიოდში დაიწყო ფეხბურთელების მიგრაცია აზიის კონტინენტიდან. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იქაც ვითარდება ფეხბურთი, ამაში მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატმე დარწმუნდითო.

კარგია, რომ ევროპულ კლუბებში თავს იყრიან პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები, მაგრამ ეს პროცესი მეორე პრობლემას წარმოშობს: თუკი ევროპულ ჩემპიონატებში ადგილობრივი ფეხბურთელების რიცხვი შემცირდება, უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნების ნაკრებებზე.

ჩემი აზრით, გარკვეული ლიმიტის დაწესებაა საჭირო. არა, მე არ ვუბრუნდები ძველ წესებს, რომლის დროსაც მოედანზე ორი-სამი ლეგიონერის გამოყენება შეიძლებოდა. ეს კეთილი უნდა დაწესდეს 5, ანდა, 6 ლეგიონერზე. ეს ყველასათვის მისაღები უნდა იყოს.

და ბოლოს, ევროპული ფეხბურთი კიდევ შემოსავლებითაა გამორჩეული და ამაში დანარჩენ კონტინენტებ ვერასდროს ვეცილებით. „ჯულ საშყოს“. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამაში წვლილი ვარსკვლავებსაც მიუძღვით, მათ შორის ბრაზილიელებსაც და არგენტინელებსაც. როგორც ჩანს, რობერტო კარლოსის და სხვათა გარეშე ევროპულ ფეხბურთის ხომ ბიძილი მოაკლდებოდა.

„ლაზიო“ – „ინტერი“ და „მილანი“ ფინალი ფორვარდის ყიდვა სურთ

იტალიური საფეხბურთო კლუბები „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ინტერი“ დაინტერესდნენ ევროპელი ფორვარდის ნიკოლოზ ლალატოვიჩის შეძენით. ამბობენ, რომ ფეხბურთელისადმი ინტერესს ისიც ამტკიცებს, რომ ის მალე დატოვებს ჰოლანდიას.

„მინდა გადავიდე ჩემი, როგორც ფეხბურთელის განვითარების ახალ სტადიონში. სამწოლოდ კი, კლუბის გამოცვლას ვაპირობ. პირველ რიგში, გადავხედავ წინადადებებს არაპრესტიჟიანი კლუბებიდან. თუ ამ მიმართულებით არაფერი გამოვიდა, მაშინ ერთ-ერთის „იუვენტიდან“, „ფეიენორდიდან“ და ასე-ვდ, – განაცხადა ვიაიტიანელმა.

თავდამსხმელის აგენტმაც დაადასტურა, რომ თავისი კლიენტით დაინტერესებას იტალიის სერია „ა“-ს კლუბები იჩენენ. „წელიწადზე მეტია, ფინელი ფეხბურთელის თამაში თვალს ადევნებენ „იუვენტუსის“, „მილანისა“ და „ინტერის“ წარმომადგენლები.“

შეგახსენებთ, რომ ვიაიტიანურნს „ჰეერენვენთან“ კონტრაქტი *2006* წლამდე აქვს გაფორმებული.

ვან პოილონქი: ვან ნისტელროი პოლანდიის ნაკრების თილისმაა

პოლანდიის ნაკრებისა და „ფენერბაზჩეს“ თავდამსხმელმა პერ ვან ჰოილონქმა განაცხადა, რომ რუუდ ვან ნისტელროი ქვეყნის ეროვნული გუნდის თილისმაა. გარდა ამისა, მან დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა კიდევ ერთ პოლანდიელ ფეხბურთელს რაფაელ ვან დერ ვაარტს.

NBA



კრუშელნიცკის 50 ქულა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ტორონტო" საკუთარ მოედანზე ოურტაიმში დამარცხდა „ჩიკაგოსთან" 108:114. სტუმრთა გუნდის წარმატება განაპირობა მცველ კრუშელნიცკის შედეგიანმა თამაშმა, რომელმაც 50 ქულა შეიძინა „ჩიკაგოს". „ხარაგნტორმ" 102:85 დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი".

„დალასი" მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა „გოლდენ სტეიტთან" 107:108. დამარცხებულს ვერ უშველა დირკ ნოვიცკის შედეგიანობამ, რომელმაც „დალასს" 29 ქულა შეაძინა და 14-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ხხვა მატჩები: „ფინიქსი" — „მემფისი" 89:83, „ლიპერსი" — „სან ანტონიო" 79-88, „ნიუ-ჯერსი" — „ფილადელფია" 89:75.

ᲡᲐᲠᲙᲔᲥᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲠᲔᲑᲐ

საფრანგეთის კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანმა, ნბა-ს კლუბ „სან ანტონიოს" მოთამაშემ ტონი პარკერმა უარი თქვა ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობაზე ევროპის 2005 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ამის შესახებ განცხადება გააქვეყნა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ბერგმა პარიზში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე. პარკერის ადგილ სარანგეთის ნაკრებში დაიკავებს 32 წლის ანტუან რიგოდო, რომელიც ამჟამად ესპანური კლუბის „პამერას" ღირსეული იცავს.

სხვათა შორის, რიგოდო ფრანგ კალათბურთელთა გუნდის ლიდერი იყო სიდნეიში ოთხი წლის წინათ გამართულ ოლიმპიადაზე. იქ სარანგეთის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

„მე მაქსიმალური მოტივაცია უნდა მქონდეს, რათა დავეხმარო საფრანგეთის ნაკრებს. აუცილებლად განვიხილავ ბერგის პროექტს, რომელიც ევროპის, ცუდი მწვრთნელი ნამდვილად არ არის." — განაცხადა რიგოდომ.

ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲡᲢᲘᲣᲐᲠᲓᲚᲘ: „ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲗᲣ ᲕᲘᲪᲘᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲩᲙᲝ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ"

უკრაინელი მოკრივეების, ძმები კლიჩკოების მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ ლენოქს ლიუისთან შეზღობადა, აცხადებს, რომ ვიტალი კლიჩკოს სპორტული გამოცდილი ელის.

ცნობილია, რომ 24 აპრილს შედგება ორთაბრძოლა კორა სანდერსსა და ვიტალი კლიჩკოს შორის. სტიუარდი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ შეხვედრას.

ძმები კლიჩკოებისა და ემანუელ სტიუარდის ურთიერთობა დაიწყო მას შემდეგ, რაც პროფესიული კარიერა მიატოვა ლენოქ ლიუისმა. ინგლისელი მოკრივის ყოფილმა მწვრთნელმა დიდი სინარულით მიიღო უკრაინელების წინადადება.

სტიუარდი თელის, რომ ძმები კლიჩკოები დიდი ტალანტის მქონე მოკრივეები არიან. მან ჟურნალისტებთან საუბარში ელაპარაკა:

„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ვლადიმირის ძალიან კარგი მონაცემები აქვს. მისი ძალა კრიტიკულ მდგომარეობებში გასული წელს კარგად დაინახეს კორას სანდერსთან ბრძოლაში". — აცხადებს სტიუარდი, რომელიც ახლა შემართებით ბრძოლას მოელის ვლადიმირის ძმისაგან — ვიტალისაგან. სტიუარდი დარწმუნებულია, რომ ვიტალი სამაგიეროს გადაუხდის სანდერს შურშაწილ მუხეთში ძმის დამარცხებისათვის.

„თუ ვიტალი კლიჩკო დამარცხდება, დამეთანხმებით, რომ ის ტიტულის ღირსია. მე ვიცი, რომ ვიტალი კლიჩკო ამჟამად საუკეთესო ბოქსიორია მსოფლიოში. ის ძალიან ტექნიკური მოკრივეა, ძალიან ძლიერი და ამასთანავე ინტელექტუალი. ის ბრძოლის დაწყებამდე ყოველთვის ზუსტად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბრძოლის ამა თუ იმ მომენტში. ის